**გორის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით გორის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 01 მარტის №20.202206088 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1**

**ქ. გორი** **15 ივლისი 2022 წ.**

2022 წლის 15 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა გორის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას ესწებოდნენ:

1. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე

2. ნიკა ღვინიაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - თანათავმჯდომარე

3. თამაზ შიოშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - თანათავმჯდომარე

4. დალი ტლაშაძე, - გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

5. მერაბ რაზმაძე, - გორის მუნიციპალიტეტის მერიისსაბიუჯეტო სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე

6. მაკა დოიჯაშვილი- გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურული განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

7. არჩილ გიუნაშვილი გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

8. ლელა მაისურაძე- გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე

9. დავით ჩიხრაძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

10. მარლენ ნადირაძე გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

დღის წესრიგი:

1. სამუშაო ჯგუფისათვის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველი პროექტის წარდგენა.

2. გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვა. მათ შორის: ა) შემოსულობები და ბ) გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით.

3. სამსახურების მიერ წარმოდგენილი პროგრამების პროექტების განხილვა.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა დალი ტლაშაძემ ჯგუფის წევრებს გააცნო პრიორიტეტების დოკუმენტის პირველი პროექტი, გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ წარმოდგენილი პროგრამების და ქვეპროგრამების პროექტები.

აზრი გამოთქვეს:

ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა , ნიკა ღვინიაშვილმა და თამაზ შიოშვილმა. მათი აზრით საჭიროა სამსახურების მიერ წარმოდგენილი პროგრამებისა და ქვეპროგრამების პროექტებში შევიდეს ცვლილებები , გახდეს მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული და ხელმისაწვდომი.

აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა სამუშაო ჯგუფის ყველა დამსწრე წევრი და აღნიშნეს რომ ამ კუთხით მუშაობა გაგრძელდება.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა აზრი გამოთქვა გორის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სამოქალაქო ბიუჯეტი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით და აღნიშნული გორის მუნიციპალიტეტში წარმატებით ხორციელდება. ასევე აღნიშნა რომ უმჯობესი იქნება სამოქალაქო ბიუჯეტში გადაიხედოს თანხების გადანაწილების პირობები და გახდეს უფრო ეფექტური.

აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დამსწრე წევრები ერთხმად შეთანხმდნენ, რომ გაგრძელდება მუშაობა სხდომაზე განხილული საკითხების გაუმჯობესების მიზნით. სამუშაო ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ შემდგომი სხდომის თარიღზე რომელიც , საბიუჯეტო კალენდრის შესაბამისად განისაზღვრა 2022 წლის 31 აგვისტოს.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი _____

ნიკა ღვინიაშვილი _____

| | |
|---|---|
| თამაზ შიოშვილი | |
| დალი ტლაშაძე | |
| მერაბ რაზმაძე | |
| მაკა დოიჯაშვილი | |
| არჩილ გიუნაშვილი | |
| ლელა მაისურაძე | |
| დავით ჩიხრაძე | |
| მარლენ ნადირაძე | |